ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის ოქმი № 6

ქ. ლანჩხუთი **22.05.2026 წელი**

15:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი.**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: ნინო მშვიდობაძე, ლოლიტა ურუშაძე, ივანე ებრალიძე, თენგიზ ხუხუნაიშვილი, ვარლამ ჩხარტიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ელისო ჭიჭინაძე, დარეჯან ბურჭულაძე, რევაზ კვერენჩხილაძე, გელა პატეიშვილი, ირაკლი ტოროტაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი **ვარდენ კვაჭაძე,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **მაია ლომთაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა - პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები კარლო კვიტაიშვილი; ვარდენ კვაჭაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურის, რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელები კარლო კვიტაიშვილი; ვარდენ კვაჭაძე/

3. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა - პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ** და აღნიშნა, რომ „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცება ან ამ წესების არსებობის შემთხვევაში მათი ამ კანონთან შესაბამისობა. აღნიშნულის საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „რ" ქვეპუნქტის თანახმად, დადგენილია შინაური ცხოველების ყოლის წესების (მათ შორის, შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის, გასეირნების, მგზავრობისა და ღონისძიებებში მათი მონაწილეობის მოთხოვნების) დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში პოპულაციების მართვის (მათ შორის, იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, სტერილიზაციის/კასტრაციის, მონიტორინგისა და თავშესაფრების ორგანიზების) უზრუნველყოფა. ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების ზრდას.

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის იანვრის თვიდან შევიდა აღნიშნული კანონი ძალაში და მუნიციპალიტეტებსაც ავალდებულებს უძრუნველყონ კანონის მიღება. უნდა მოხდეს ცხოველთა იდენთიფიკაცია, რეგისტრაცია, რასაც განახორციელებს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი", შეიქმნება მონაცემთა ერთიანი ბაზა, სადაც შეტანილი იქნება იდენტიფიცირებული ცხოველის შესახებ შემდეგი ინფორმაცია: სახეობა, ჯიში, სქესი, დაბადების თარიღი, სახელი, გარეგნობის აღწერა, შეფერილობა, საყურე ნიშნის ნომერი, სტერილიზაციის, კასტრაციისა და ვაქცინაციის შესახებ ინფორმაცია.

ვარდენ კვაჭაძემ ასევე ისაუბრა იმის შესახებ, რომ უნდა მოხდეს ძაღლების კლასიფიკაცია სანაშენე, საგამოფენო და სასამსახურო ცხოველად. როცა ძაღლი სანაშენეა, თავისთავად არ ხდება მისი კასტრაცია-სტერილიზაცია, ხოლო სხვა შემთხვევაში ეს არის აუცილებელი. ამ ყველაფერზე მიმდინარეობს მონიტორინგი და წესის დარღვევის შემთხვევაში მეპატრონე ჯარიმდება 500 ლარით. აღნიშნული კანონი მუნიციპალიტეტებს ავალდებულებს ან ერთობლივად ან ცალ-ცალკე გააკეთონ თავშესაფრები. ყველა მიუსაფარი ძაღლი იქნება აცრილი, კასტრირებულ-სტერილიზებული და მეტ-ნაკლებად უსაფრთხო, ხოლო აგრესიული და დაავადებული ძაღლების გადაყვანა უნდა მოხდეს თავშესაფარში.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურის, რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125[4] პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესი" შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, ,,საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ.ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ორგანიზებისა და გზების ტრანსპორტისაგან განტვირთვის მიზნით. წესი განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის კომპეტენციას პარკირების რეგულირებისა და პარკირების სფეროს მართვის საკითხებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ორგანიზების და კონტროლის განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებს. იგი ვრცელდება ყველა იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ჩერდება ან დგას ამ წესის შესაბამისად პარკირებისათვის გამოყოფილ ადგილებზე.

წესი, გარდა მე-2 მუხლის ,,ღ" ქვეპუნქტისა და მე-13 მუხლისა, არ ვრცელდება იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, რომელსაც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების მიზნით გამოიყენებენ ,,ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების, აგრეთვე ,,სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ " საქართველოს კანონის მე–5 მუხლის მე–7 პუნქტის შესაბამისად, განსაზღვრულ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე.

ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება დაიშვება პარკირების ადგილებზე, ასევე ყველა იმ ადგილზე, სადაც არ არის გაჩერების/დგომის აკრძალვის საგზაო ნიშანი ან გაჩერების/დგომის აკრძალვის საგზაო მონიშვნა, ან ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა აკრძალვა. პარკირების ადგილები დატვირთვის მიხედვით იყოფა სხვადასხვა დანიშნულების ზონებად, დანართი N2 შესაბამისად. პარკირების ფასიან ადგილებზე უფასო პარკირება დასაშვებია იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის, რომელიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გამოიყენება:

ა) საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების ან ლიკვიდაციისათვის;

ბ) სასწრაფო- სამედიცინო დახმარებისთვის;

გ) ნებადართული სარემონტო ან სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის;

დ) დაგვა-დასუფთავებისთვის;

ე) ინკასაციისთვის;

ვ) ამ წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის;

პარკირების სფეროს მართვა ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს ,,ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/ნ 433655822) მეშვეობით. პარკირების სფეროს

სამართავად გადაცემის პირობებს ადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განსაზღვროს სპეციალური პარკირების ადგილები და პირობები. ფასიან პარკირების ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება შეიძლება საფასურის გადახდით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპარკინგე ადგილებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საფასურის და პარკირების წესების დარღვევისათვის, ასევე, პარკირების საფასურის გადაუხდელობისათვის „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის" 1254 მუხლით განსაზღვრული სამართალდარღვევისთვის გადახდის ვალდებულება უნდა განისაზღვროს 2026 წლის 01 აგვისტოდან.

2026 წლის 01 ივლისამდე პარკირების ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის საჯარო ინფორმირება ბეჭდური მედიის საშუალებით და ინფორმაციის გავრცელების სხვა მასობრივი საშუალებებით, აღნიშნული დადგენილების ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ** ასევე ისაუბრა იმის შესახებ, რომ მთავრობის ადმინისტრაციიდან არის შემოსული საკონსულტაციო დასკვნა, რომელსაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია სრულად იზიარებს და ამ ხარვეზების გათვალისწინებით მოხდება საკითხის მიღება. შენიშვნები არის უმნიშვნელო და მარტივად მოსაგვარებელი.

კომისიის თავმჯდომარე, **კარლო კვიტაიშვილი** დაინტერესდა, თუ რამდენი ზონა არის სულ გამოყოფილი პარკირებისთვის და მისი აზრით, კარგი იქნება, თუ 1 ზონა მაინც იქნება უფასო. საკითხის ირგვლივ განმარტება გააკეთა **ვარდენ კვაჭაძემ** და აღნიშნა, რომ სულ არის 16 ლოკაცია, რომელსაც მოაწყობს და მოაწესრიგებს შპს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო კომპანია". მოხდება შესაბამისი საცნობი ნიშნების დახაზვა, რისთვისაც ალბათ საჭირო გახდება თანამშრომლების დამატება.

რაც შეეხება ტარიფებს, ფიზიკური პირისთვის, მსუბუქი ავტომობილის შემთხვევაში წელიწადში იქნება გადასახდელი 30 ლარი, ტაქსებისთვიოს თვეში 30 ლარი და ისინი შესაბამისი ნიშნის გარეშე ვერ დადგებიან. სატვირთო ავტომობილი წელიწადში გადაიხდის 1000 ლარს. არის ასევე დღიური ტარიფებიც, რომლის ღირებულებაც შეადგენს 50 თეთრს და საათობრივი - დილის 8 საათიდან საღამოს 19 საათამდე, ღირებულება შეადგენს 30 თეთრს, რომლის გადახდასაც მოქალაქე შეძლებს „ფეი" აპარატის მეშვეობით.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტი მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადებული საკონსულტაციო დასკვნის გათვალისწინებით.

სხვადასხვა საკითხები.

კომისიის წევრმა **ნინო მშვიდობაძემ** აღნიშნა, რომ ვალოდია გოგუაძის ოჯახს აქვს სურვილი, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დაიდგას ვალოდია გოგუაძის ბიუსტი, რომელიც 1918-1920 წლებში იყო ჯავშან-მატარებლის მეთაური და გურია და აჭარა გადაარჩინა თურქეთიზაციას, რაზეც **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ, მისი დიდი სურვილიცაა დაიდგას ვალოდია გოგუაძის ბიუსტი, მაგრამ ამ ეტაპისთვის მუნიციპალიტეტი ფინანსურად ამისთვის მზად არ არის.

კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ შეგრენ-ლარსონის სინდრომის მკურნალობის დაფინანსებასთან დაკავშირებით საჭიროა პროექტის მომზადება, რომლის საფუძველზეც მოხდება პროგრამის ამოქმედება.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №6 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი **22.05.2026 წ.**

2026 წლის 22 მაისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები კარლო კვიტაიშვილი; ვარდენ კვაჭაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურის, რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელები კარლო კვიტაიშვილი; ვარდენ კვაჭაძე/

3. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა - პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების

ადგილების, საფასურის, რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125[4] პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადებული საკონსულტაციო დასკვნის გათვალისწინებით.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

22.05.2026 წელი
16:00 საათი

1. კარლო კვიტაიშვილი - კომისიის თავმჯდომარე	14 55	
2. ნინო მშვიდობაძე	14:57	
3. დარეჯან ბურჭულაძე	არ ესწრებოდა	
4. ლოლიტა ურუშაძე	15 00	
5. ელისო ჭიჭინაძე	არ ესწრებოდა	
6. რევაზ კვერენჩხილაძე	არ ესწრებოდა	
7. ივანე ებრალიძე	14 55	
8. ვარლამ ჩხარტიშვილი	14:55	
9. გელა პატეიშვილი	არ ესწრებოდა	
10. ირაკლი ტოროტაძე	არ ესწრებოდა	
11. თენგიზ ხუხუნაიშვილი	14:54	